ტენდერი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე / რეაბილიტაციაზე
გამოქვეყნებულია: 24 აგვისტო / ბოლო ვადა: 7 სექტემბერი, 2021 წ
თანდართული ფაილი: სამშენებლო ტენდერის დანართი - CCRG

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი (CCR) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს რამდენიმე ქვეყანაში განვითარების სფეროში პროექტების განსახორციელებლად. საქართველოში CCR მუშაობს 2008 წლიდან და 2015 წელს დააფუძნა თავისი ფილიალი თბილისში (CCRG), რომლის მეშვეობითაც ახორციელებს სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების სფეროებში. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს გვერდებს:

https://www.facebook.com/CCRGeorgia2015/
https://georgia.charita.cz/

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG), სახელმწიფო ზრუნვისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დახმარების სააგენტოსთან და პროექტის პარტნიორ ორგანიზაციასთან "ახალი ალტერნატივა - საქართველო" თანამშრომლობით, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს ”გზა შინ: ზრდასრულთა ალტერნატიული ზრუნვის სერვისების განვითარება საქართველოში”. პროექტის ერთ-ერთი მიზანია სოციალური სერვისების, კერძოდ, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სერვისებისთვის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა.

CCRG იწვევს დაინტერესებულ მხარეებს N2 ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დუშეთის მუნიციპალიტეტში სერვისის ორგანიზებისთვის საჭირო მეორე შენობის სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით. სპეციფიკაცია იხილეთ დანართებში:

1. **განცხადების დანართები:**

განმცხადებლის მიერ შესავსები ფორმები:
დანართი 1. განაცხადის ფორმა
დანართი 2. ბიუჯეტის ფორმა
დანართი 3. სამუშაოს შესრულების გრაფიკი
დანართი 11. ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია (ხელშეკრულების დანართი)

სახელმძღვანელო დოკუმენტები (სავალდებულო):
დანართი 4. სამშენებლო პროექტი
დანართი 5. მშენებლობის ნებართვა
დანართი 6. განმარტებითი ბარათი
დანართი 7. ხელშეკრულების პროექტი

2. **პროექტის ღირებულება:**

სამუშაოების შესასრულებლად მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 163 000 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათლით.

3. **სატენდერო კომისია:**

სატენდერო წინადადების შეფასება განხორციელდება სატენდერო კომისიის მიერ არანაკლებ 5 შემადგენლობით.

4.შეფასების/შერჩევის კრიტერიუმები და თითო კრიტერიუმის ღირებულება %:

- სატენდერო წინადადების ხარისხი - 10%
- კომპანიის გამოცდილება (მ.შ. მშენებლობაზე პასუხისმგებელი მენეჯერის) - 25%
- შემოთავაზებული ღირებულება - 20%
- სამშენებლო მასალების ხარისხი - 20%
- სამუშაოების შესულების დრო - 20%
- ადგილობრივი (დუშეთის) დაქირავებული მუშახელი - 5%

5. **ზოგადი მოთხოვნები:**

განაცხადის მომზადების პროცესი:

- CCRG სამშენებლო პროექტთან განაცხადის შესაბამისად მომზადება;
- დაქირავებულთა მინიმუმ 30% დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობით დაკონტრაქტება;
- ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციას ხელმოწერა, რომელშიც აღნიშნულია ნებისმიერი სახის ურთიერთობა CCRG-ის თანამშრომლებთან. ასეთი ურთიერთობის არსებობა არ გამორიცხავს დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ტენდერში (დანართი #11);

განხორციელების პროცესი:

- სამუშაოების დაწყება არაუგვიანეს ა.წ. 15 სექტემბრისა
- დაქირავებული მუშა-ხელის ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა;
- სამუშაოების დასრულების ვადა: ა.წ. 20 ნოემბერი;
- CCRG მენეჯმენტთან და მონიტორინგის ჯგუფთან თანამშრომლობა, სამშენებლო მოედანზე მათი დაშვების უზრუნველყოფა;
- სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- მშენებლობის პროცესის სწორად წარმართვა და მშენებლობის დასახლებაში მეზობლების მიმართ პატივისცემის გამოჩენა.

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სამშენებლო კომპანიას უნდა ჰქონდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება. უნდა წარმოადგინოს ამ გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (იხ. წინადადების წარდგენის თავი);
- დაქირავებულ მშენებლობის მენეჯერს უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელებაში. უპირატესობა მიენიჭება საინჟინრო განათლების მქონე კანდიდატს;
- განმცხადებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი უნარი დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ვალდებულებები;
- განმცხადებელს უნდა შეეძლოს ფინანსური აღრიცხვის წარმოება და CCRG– სთვის ანგარიშგების წარდგენა, ამ სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ანგარიშგების და გადახდის მეთოდები:

- წინასწარი გადახდა განხორციელდება ხელშეკრულების მთლიანი თანხის 10% -ის ოდენობით;
- კონტრაქტორს მოეთხოვება ყოველთვიურად წარმოადგინოს ფინანსური ხარჯთ-აღრიცხვა („შესრულებული სამუშაოების ფორმა N2“);
- ანაზღაურება განხორციელდება CCRG კონსულტანტების მიერ მოწოდებული მონიტორინგის ანგარიშის საფუძველზე, რომელიც დაადასტურებს სამუშაოების ვადებს, ბიუჯეტის ხარჯვას და კონტრაქტორის მიერ წარდგენილ ანგარიშის შესაბამისობას.

8. სატენდერო წინადადების წარდგენა - სავალდებულო დოკუმენტები:

- საპროექტო განაცხადი - ხელმოწერილი ბეჭდით (დანართი 1);
- დეტალური ბიუჯეტი და საქმიანობის კალენდარული გრაფიკი, განცხადების დანართების შესაბამისად (დანართი 2. ბიუჯეტის ფორმა; დანართი 3. სამუშაოს შესრულების გრაფიკი);
- ხელმოწერილი დანართი #11. ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია;

- კომპანიის ხელმძღვანელის და მშენებლობის მენეჯერის CV (ინგლისურ ენაზე), რომელშიც მოცემულია კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ სფეროში; განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი სამშენებლო პროექტების პორტფილიო;
- მსგავსი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების ასლები;
- ამონაწერი საჯარო ან გადამხდელთა რეესტრიდან (ბოლო 6 თვის), პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირებისთვის) ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საბანკო გარანტია 2% (მოთხოვნილი იქნება შერჩევის შემთხვევაში);
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განაცხადი არ განიხილება. წინადადებები (დანართები 1, 2, 3, 11) წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

9. კონსულტაცია და განაცხადის გაკეთების ვადა

დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ კონსულტაციები გაიმართება 31 აგვისტოს 16:00 საათზე (საქართველოს დროით). კონსულტაციებზე რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა მხარემ უნდა გამოაგზავნოს შეტყობინება ელ. ფოსტაზე ccrg.vacancy@gmail.com 27 აგვისტოს, წერილის სათაურის ზოლში "სატენდერო ონლაინ კონსულტაცია".

წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა: 2021 წლის 7 სექტემბერი, 18:00 საათზე (საქართველოს დროით) ელექტრონულად ccrg.vacancy@gmail.com ელ-ფოსტაზე (სათაურის ზოლში მიუთითეთ - „სატენდერო წინადადება“) და სრული განაცხადის ბეჭდური ასლი ხელმოწერილი და დალუქული კონვერტში შემდეგ მისამართზე: თბილისი, კარტოზიას ქ. # 8, ბლოკი 4 , პირველი სადარბაზო, მე-9 სართული, ბინა 24. (ლიფტის კოდი გაიგზავნება პრეტენდენტის მობილურ ტელეფონზე და ელექტრონულ ფოსტაზე).

შენიშვნა: CCRG არ მიიღებს სატელეფონო ზარებს ტენდერის შესახებ.
განაცხადები განიხილება შემოსვლისთანავე. შერჩეული აპლიკანტები ინტერვიუზე მოიწვევიან ტენდერის დასრულებიდან 3 დღის განმავლობაში.
CCRG იტოვებს უფლებას არ უპასუხოს აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან ინტერვიუზე მოწვეულნი, ტენდერის დასრულების შემდგომ.